

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ს 2015 წლის ანგარიში

ღონისძიებების მოკლე აღწერა

- 2015 წლის განმავლობაში, აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ, აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად, აკრედიტებული იქნა 36 შესაბამისობის შემფასებელი პირი, მათ შორის: 25 საგამოცდო ლაბორატორია, 2 საკალიბრებელი ლაბორატორია, 7 ინსპექტირების ორგანო (4 დაკანონებული გაზომვის საშუალების დამამოწმებელი პირი, 3 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი), 1 სამედიცინო ლაბორატორია, 1 პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო;
- გეგმური მონიტორინგი გაიარა 88 შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, მათ შორის: 52 საგამოცდო ლაბორატორიამ; 6 საკალიბრებელი ლაბორატორიამ, 4 პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანომ, 4 პერსონალის სერტიფიკაციის ორგანომ, 22 ინსპექტირების ორგანომ (1 დაკანონებული გაზომვის საშუალების დამამოწმებელი პირი, 21 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი);
- აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა დარღვევის გამო, აკრედიტაცია შეუჩერდა 1 აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიას. ხოლო, 1 აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიას შეუმცირდა აკრედიტაციის სფერო;
- განხორციელდა 12 აკრედიტაცია დამატებით სფეროში, მათ შორის: 11 საგამოცდო ლაბორატორია და 1 საკალიბრებელი ლაბორატორია;
- ჩატარდა 1 პროდუქტის (პროცესის) სერტიფიკაციის ორგანოს არაგეგმიური მონიტორინგი აკრედიტაციის მოწმობის ვადის აღდგენის მიზნით;
- აკრედიტაციის განახლებული საერთაშორისო სტანდარტების 17065, 17024, 17021 აკრედიტაციის სისტემაში ასახვის მიზნით, მომზადდა ცვლილებები და დამატებები აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2012 წლის 31 დეკემბრის #07 ბრძანებით დამტკიცებულ აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურებში; განხორციელდა ცვლილებების აკრედიტაციის წესებსა და პროცედურებში იმპლემენტაცია;
- საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-19 მუხლის მე-18 პუნქტის გათვალისწინებით, აკრედიტაციის ცენტრმა შეიმუშავა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციის ცენტრში

რეგისტრაციის წესის და რეგისტრაციის საფასურის პროექტი, არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების და დამატებების სახით;

- აკრედიტაციის ცენტრმა განახორციელა ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციის სფეროს გაფართოება, რაც გულისხმობს მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტების პერიოდული ინსპექტირების სფეროში, აკრედიტაციის გზით, კერძო სექტორზე ინსპექტირების უფლებების დელეგირებას მთავრობის მიერ მიღებული ტექნიკური რეგლამენტების თანახმად. შესაბამისად, საკ-ში უკვე დაფიქსირდა პირველი განაცხადი ინსპექტირების ორგანოს მხრიდან, რაზედაც მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები;
- აკრედიტაციის ცენტრმა დაიწყო შეფასებების განხორციელება მთავრობის მიერ 2014 წლის 15 იანვარს, #80 (ცვლილებები განხორციელდა 2015 წლის 20 აპრილს საქართველოს მთავრობის #167 დადგენილებით) დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, რაც გულისხმობს ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობების განთავსების, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შეფასების და უსაფრთხო ექსპლოატაციას. არსებული დროისათვის აკრედიტაციის ცენტრში მიმდინარეობს შესაბამისობის შემფასებელი (ინსპექტირების) ორგანოების მიერ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების სამუშაოები.
- აკრედიტაციის ცენტრი განაგრძობს ევროკავშირთან კომუნიკაციის 2015 წლის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ:
 - 2015 წლის 9 ივნისს სასტუმრო „ტიფლის პალას“-ში აკრედიტაციის მაძიებელი პირებისათვის, სამთავრობო სტრუქტურებისათვის და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა აკრედიტაციის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია თემაზე „აკრედიტაცია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მხარდასაჭერად“. ასევე, აქცენტები გაკეთდა აკრედიტაციის როლზე DCFT ფარგლებში და სამედიცინო ლაბორატორიების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების საკითხებზე;
 - 2015 წლის 26 ივნისს ქობულეთში, საზაფხულო სკოლაში „ნათელი საქართველო“ აბიტურიენტებისათვის ჩატარდა ლექცია თემაზე; „საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის ევროპულთან დაახლოება“;
 - 2015 წლის 26-27 ივნისს აკრედიტაციის ცენტრში ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ჩატარდა ლექცია თემაზე; „საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის ევროპულთან დაახლოება“;
- აკრედიტაციის ცენტრის მიერ, 2015 წლის ტრენინგების გეგმის შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრში განხორციელდა ტრენინგი ახალი სტანდარტის ისო/იეკ 17065:2012-ის შესაბამისად; ასევე, აკრედიტაციის ცენტრის მოწვეული ტექნიკური შემფასებლების ბაზის გაფართოებისა და მათი შეფასებებში ჩართვის მიზნით, განხორციელდა ტრენინგი ახალი საერთაშორისო სტანდარტის 17020:2012/2013-ის შესაბამისად;

- ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური გაძლიერების (CIB) პროგრამის ფარგლებში საკ-ში მიმდინარეობს პროექტი „აკრედიტაციის სისტემის განვითარების შემდგომი მხარდაჭერა; ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისათვის“. პროექტში ჩართული კომპანიების წინასწარი შერჩევის შედეგად, გამოვლინდა გამარჯვებული ესპანურ-ბრიტანული კონსორციუმი და დაიწყო ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისათვის პროექტის განხორციელება.

პროექტი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ინტენსიური ტრენინგების პროგრამის შემუშავება და იმპლემენტაცია;
- აკრედიტაციის ახალი სქემების იმპლემენტაცია;
- შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციაში ხელშეწყობა ახალი და გლობალური დირექტივების შესაბამისად;
- სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის ქვეყნებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან უცხოელი ექსპერტი და აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები. ჯგუფმა შეიმუშავა განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური გეგმა, რომლის განხორციელებაც დაიწყო 2016 წლიდან.

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და აკრედიტაციის ცენტრის EA-ში (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) წევრობის სტატუსის თანახმად, აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები განაგრძობენ მონაწილეობას EA-ს ყოველწლიური ლაბორატორიული, ინსპექტირების და სერტიფიკაციის ტექნიკური კომიტეტების, ასევე EA-ს გენერალური ასამბლეის მუშაობაში. იმავდროულად, 2015 წლის 14-16 დეკემბერს აკრედიტაციის ცენტრში განხორციელდა წინასწარი კოლეგიალური შეფასება EA-ს მხრიდან. შეფასება განახორციელეს ევროპელმა ექსპერტებმა. შეფასების შედეგი აკრედიტაციის ცენტრისათვის საკმაოდ წარმატებულია. ევროპელი შემფასებლებმა დაადასტურეს, რომ საკ-ს ჰყავს პროფესიონალური გუნდი, რომელიც საკმაოდ კომპეტენტურად წარმართავს აკრედიტაციის სამუშაოებს. აღსანიშნავია, რომ EA-ს შემფასებლებმა მიიღეს რეკომენდაცია გაგრძელდეს საკ-ის შეფასების პროცესი საკ-სა და EA-ს შორის ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით.

დასახული შედეგები

- აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა კანონით დადგენილ რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროებში;
- აკრედიტაციის, ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგისა და შესაბამისობის შეფასების სხვა სამუშაოების განხორციელება აკრედიტაციის წესების და პროცედურების თანახმად;

- შესაბამისობის შეფასების სამუშაოების წარმართვა განახლებული საერთაშორისო სტანდარტებისა შესაბამისად და აკრედიტაციის ცენტრის წამყვანი და ტექნიკური შემფასებლების ტრეინინგი განახლებული სტანდარტების შესაბამისად;
- ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური გაძლიერების (CIB) პროგრამის ფარგლებში დასახული პროექტის დაწყება და შესაბამისი სამოქმედო პროგრამის შემუშავება;
- EA-ს დაგეგმილი წინასწარი კოლეგიალური შეფასების წარმატებით განხორციელება.

მიღწეული შედეგები

- აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად განხორციელდა აკრედიტირებული პირების ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგები და გაიცა ახალი აკრედიტაციები;
- აკრედიტაციის სისტემაში ამოქმედდა აკრედიტაციის ახალი მიმართულებები და აკრედიტაციის პროცესი წარიმართა საერთაშორისო განახლებული სტანდარტების შესაბამისად;
- განხორციელდა აკრედიტაციის წამყვანი შემფასებლებისა და მოწვეული ტექნიკური შემფასებლებისა და ექსპერტების ტრეინინგები განახლებული სტანდარტების შესაბამისად;
- ევროკავშირის CIB პროგრამის ფარგლებში საკ-ში განხორციელება დაიწყო პროექტმა „აკრედიტაციის სისტემის განვითარების შემდგომი მხარდაჭერა; ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისათვის“. პროექტის ფარგლებში შემუშავდა სამოქმედო გეგმა;
- აკრედიტაციის ცენტრის განაცხადის საფუძველზე, ცენტრში ჩატარდა EA-ს წინასწარი კოლეგიალური შეფასება.

მიღწეული შედეგების ინდიკატორები

- აკრედიტაციაზე შემოსული განაცხადების განხილვა, შეფასება და აკრედიტირებული პირების ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგი კანონმდებლობით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროებში მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობისა და აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
- აკრედიტაციის ცენტრმა აკრედიტაციის სისტემაში განახორციელა განახლებული საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაცია და ასევე ბაზარს შესთავაზა აკრედიტაციის ახალი მიმართულებები;
- აკრედიტაციის ცენტრში განხორციელდა ტრეინინგები/სწავლებლები ახალი მოწვეული ტექნიკური შემფასებლებისათვის, ახალი და განახლებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ასევე აკრედიტაციის ცენტრი

ეტაპობრივად ახდენს აკრედიტაციით დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში მიმდინარე რეფორმებისა და ამ მიმართულებით მიღწეული შედეგების თაობაზე;

- აკრედიტაციის ცენტრმა განაცხადით მიმართა EA-ს ორმხრივი აღიარების ხელშეკრულების (BLA) პროცედურების დასაწყებად, რაზედაც EA-ს მხრიდან განხორციელდა აკრედიტაციის ცენტრის წინასწარი კოლეგიალური შეფასება. შეფასების დადებითი შედეგებიდან გამომდინარე EA-ს შემფასებელთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება გაგრძელდეს აკრედიტაციის ცენტრის შეფასება, აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით, რაც ხელს უწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დადებული ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტების წარმატებით რეალიზებას.
- აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები განაგრძობენ EA-ს ტექნიკურ კომიტეტების და გენერალური ასამბლეის სამუშაოებში მონაწილეობას.